№8 (9903) ◆ აგვისტო, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

ტკივილით სავსე აგვისტო

წუთია, წუთი წუთისოფელი...

2023 წლის 3 აგვისტოს რაჭაში, კერძოდ კურორტ შოვში სასტუმრო „სანსეტ შოვის“ მიმდებარედ ე.წ. კოტეჯების ტერიტორიაზე დატრიალებულმა ტრაგედიამ შეძრა სრულიად საქართველო. ტრაგედია გამოიწვია მდინარე ბუბის ხეობაში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური სტიქიური მოვლენების თანხვედრამ, რასაც მოჰყვა ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება.

უფრო კონკრეტულად: მყინვარ ბუბის დასავლეთის მხრიდან ჩამოშლილი კლდეზვავი შეეჯახა მყივარ თბილისას და დინამიკაში მოსვლისას მოახდინა მისი ნაწილის ჩამოქცევა, რამაც გამოიწვია მყინვარქვეშა დაგუბებული წყლის გამოდინება, რომელსაც დაემატა მდ. ბუბას კალაპოტის გასწვრივ ნაპირგარეცხვისა და იმ დღეებში გადაუღებელი წვიმების შედეგად შენაკადებიდან ტრანსპორტირებული ნაშალი მასა. მძლავრი ტალახქვიანი ღვარცოფული ნაკადი გადავიდა კალაპოტიდან კოტეჯების უბნის ტერიტორიაზე. გაიშალა 26 ჰექტარზე და დაფარა იქ არსებული შენობა-ნაგებობები, რასაც სამწუხაროდ მოჰყვა მსხვერპლი.

ექსპერტთა განმარტებით და პირველადი დასკვნებით სტიქია იყო მკაცრი კლიმატური პირობებით გამოწვეული. ნივალურ ზონაში ტემპერატურის ამპლიტუდის მკვეთრი ცვლილება და მასთან დაკავშირებული ქანების ყინვით-მექანიკური გამოფიტვისა და სოლიფლიქციური ინტენსიური მოვლენების შედეგი. ე.ი. მოხდა ერთდროულად 5 პროცესის (მყინვარის ინტენსიური დნობა, ნალექის მოსვლა წვიმის სახით, სათავეებში კლდეზვავის ჩამოშლა, მეწყრულ-ეროზიული პროცესი და ღვარცოფის გავლა) თანხვედრა.

უბედურების სიგნალის მიღებისთანავე სტიქიის ზონაში დაიწყო სამძებრო-სამაშველო ოპერაცია, რაშიც ჩაერთო ქვეყნის ყველა რესურსი და რგოლი: მეხანძრე-მაშველები, ავიაცია, არმია, მედიკოსები, კინოლოგები, წითელი ჯვარი, მოხალისეები... მობილიზებული იქნა ის ტექნიკა, რომლის გამოყენება ყველაზე ეფექტიანია ასეთ ვითარებაში.

საგანგებო შტაბის სწორი და გათვლილი სტრატეგიის მიხედვით სინქრონულად, ფრთხილად მოქმედებდა ცოცხალი და მძიმე ტექნიკა. სტიქიის პირველივე დღეს ვეტმფრენით უსაფრთხოდ მოხდა 210 ადამიანის გამოყვანა. პარალელურად უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა ძირითად ლოკაციაზე მიწისქვეშა საძიებო სამუშაოები. შემდეგ თანდათანობით შემოვლითი გზის, დროებითი ხიდების ამოქმედებამ უზრუნველყო საძიებო სამუშაოების არეალის გაფართოება და ერთდროულად 25-ზე მეტ ლოკაციაზე წარმართვა. სტიქიიდან მე-16 დღეს ძირითადად მთავარ ლოკაციაზე დამთავრდა ტერიტორიის ფრაგმენტების დამუშავება, მაგრამ გაგრძელდა მდინარეების ჭანჭახისა და რიონის კალაპოტებში თავიდან 54 კილომეტრის მანძილზე ამბროლაურის აეროპორტამდე, შემდგომ გუმათჰესამდე. რაშიც ჩაერთვნენ მცურავი საშუალებები. სტიქიის ზონის, მდინარეების ხეობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების აქტიურ მონიტორინგს ახორციელებდნენ და აგრძელებენ საზღვრო პოლიციის ვეტმფრენები და დრონები, სამწუხაროდ სტიქიამ 33 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათგან 31 იდენტიფიცირებულია, ხოლო ორის საძიებო პროცესი გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ არსებობს ცხედრების პოვნის მცირე შანსიც კი.

დაღუპულთა სულის საოხად 7 აგვისტოს, რომელიც ქვეყანაში გლოვის დღედ იქნა გამოცხადებული, სტიქიის ეპიცენტრში ნიკორწმინდის ეპისკოპოსმა ვახტანგმა სამღვდელოებასთან ერთად პანაშვიდი გადაიხადა. ქვეყანაში გაუქმდა და გადაიდო საკონცერტო და საზეიმო ღონისძიებები.

სამძებრო სამუშაოები სტიქიიდან 28 დღის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ჯაჭვური რეაქციით მუშაობს ყველა რგოლი დამატებითი გადამოწმებით, წერტილოვანი ძიებით, გუმათჰესის დაგუბების პერიმეტრებში. პარალელურად მიმდინარეობს განადგურებული ინფრასტრუქტურის გაწმენდა-აღდგენითი სამუშაოები...

აღსანიშნავია და ხაზგასასმელი ის ფაქტი, რომ სტიქიის პირველივე დღეებიდანვე დაზარალებულთა ოჯახის წევრებთან, გადარჩენილებთან მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან და ფაქტიურად სტიქიის ზონიდან არ გასულან ქვეყნის აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სამხარეო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და საველე პირობებში ხელმძღვანელობენ სამძებრო-სამაშველო პროცესებს.

ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით ტრაგედიის დროს გარდაცვლილთა და დაკარგულთა ოჯახის წევრები მიიღებენ კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ დახმარებას. ჯანმრთელობის სამინისტროს მათთვის შეთავაზებული მომსახურება მოიცავს ფსიქოლოგის კონსულტაციას, ფსიქოთერაპიულ სეანსებს. საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის კონსულტაციას და მის მიერ დანიშნული მედიკამენტების ანაზღაურებას.

ძნელია გონებით აღიქვა ის, რაც სტიქიის ზონაში სუფევს. ასევე ემოციურად მძიმეა ის რეალობაც, რაშიც უწევთ მუშაობა აქ როგორც ცოცხალ ძალას, ისე ტექნიკას. თავგანწირვის, ადამიანური თანადგომის უამრავი მაგალითებიც ვიხილეთ. სიტყვებით ძნელია გამოხატო მადლიერება.

ეტყობა მართლა ღირებულებების განადგურების ახალი ეპოქა დადგა, თორემ აბა რას გავს სოცქსელებში იმ ადამიანთა „ნააზრევი“, რომლებსაც შოვის მიდამო თვალით არ უნახავს, მდინარეები ბუბა და ბდღვიორა, სოფლები წკადისი და წედისი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ, არ შეუხედავთ დაღუპულთა, დაზარალებულთა ოჯახის წევრებისთვის, არ დაუნახავთ როგორ თავგანწირვით ებრძვის სტიქიის შედეგებს ქვეყნის ყველა რგოლი. ადვილია შორიდან ყურება და შეფასება? არადა როდესაც ასეთი უბედურება ხდება ყველა უნდა ვიზიარებდეთ და ვის როგორაც შეგვიძლია ისე უნდა ამოვუდგეთ მხარში ერთმანეთს. კიდევ კარგი რომ ე.წ. „ჰეითერები“ ცოტანი ხართ.

ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს, სრულიად საქართველოს.



შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო მძიმე, რთული და ტკივილიანი თვე აღმოჩნდა 2023 წლის აგვისტო სრულიად საქართველოსათვის. მადლობას ვუხადი სტიქიის ზონაში სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში ჩართულ ყველა უწყების პოლიციის დანაყოფებს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებს, სასაზღვრო პოლიციას, თავდაცვის სამინისტროს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლებს, წითელ ჯვრის საზოგადოებას, მოხალისეებს ამ რთულ სიტუაციაში დახმარებისა და გვერდით დგომისთვის.

პაპუნა მარგველიძე, სახელმწიფო რწმუნებული
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში

ეს ტრაგედიაა, რომელიც 3 აგვისტოს თავს დაატყდა ჩვენს კუთხეს-რაჭას, სრულიად საქართველოს.

ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახების წევრებს. ახლობლებს, ნათესავებს.

გამოვთქვამ ჩემს თანადგომას ამ მძიმე განსაცდელის ჟამს მათ მიმართ.

პაპუნა მარგველიძე, სახელმწიფო რწმუნებული
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის დეპარტამენტის ამბროლაურის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის მაიორ

მირიან ჭელიძის

გარდაცვალების გამო თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს და თანამშრომლებს.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შოვში, სტიქიის ზონაში, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის უფროსი ინსტრუქტორის-მაიორ

თეიმურ ხარჩილავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მის კოლეგებს და სრულიად საქართველოს.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შოვში-სტიქიის ზონაში სამსახურეობრივი მოვალეობის დროს ამბროლაურის პოლიციის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის, მაიორ

მირიან ჭელიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, კოლეგებს, სრულიად საქართველოს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია ღრმა მწუხარებით იუწყება რომ შოვში, სტიქიის ზონაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა პოლიციის მაიორი, ამბროლაურის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი

მირიან ჭელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შოვში, სტიქიის ზონაში, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის უფროსი ინსტრუქტორის

თეიმურაზ ხარჩილავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და კოლეგებს.

მიკერძოებად ნურავინ ჩაგვითვლის

ამბროლაურისა და ონის ადრე რაიონების, დღეს მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ურთიერთობები თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაწერილი თუ დაუწერელი ზნეობის ნორმებს არასდროს გაცდენია. ამ ულამაზესი კუთხის ბინადართ საუკუნეებია ჭირი და ლხინი გაუყოფელი აქვთ. დროთა ქარბორბალაში გამოცდილ-გამობრძმენდილი მეზობლობის, მეგობრობის, მოყვრობის, ნათელმირონობის თუ ძმაკაცობის ტრადიციები თაობიდან თაობებს გადაეცემათ.

შეიძლება მკითხველმა იკითხოს რა საჭიროა ასეთი შესავალიო, მაგრამ ვთვლით რომ მავანთათვის შესახსენებლად აუცილებელია, რადგან შოვის ტრაგედია მართალია სრულიად საქართველოს შეეხო, მაგრამ ონელებთან ერთად უშუალოდ მაინც ჩვენ – ამბროლაურელებს. დღეს ყველა დაღუპულის ოჯახის წევრებთან ერთად ჩვენც ჭირისუფალნი ვართ და სამძიმრის შეტყობინებებს საიდან არ ვიღებთ. განსაკუთრებით სულის შემძრელი და მძიმეა ისრაელიდან ონელი ებრაელების ზარებზე პასუხის გაცემა...

ნურავინ ჩაგვითვლის მიკერძოებად. ჩვენ ხომ ტერიტორიული და ადამიანური სიახლოვის ყველანაირი ფაქტორი გვავალდებულებდა პირველივე წუთებიდანვე ვყოფილიყავით ონელების გვერდით. ჰოდა, არც გამოსულან სტიქიის ეპიცენტრიდან სამხარეო ადმინისტრაციისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები, მაჟორიტარი დეპუტატი, რიგითი ადამიანები ასაკის განურჩევლად.

ფოტოზე (ცხადია, ერთ მშვიდობიან დღეს გადაღებული) საგანგებო სიტუაციების მართვის სამხარეო სამმართველოს ამბროლაურის განყოფილების მეხანძრე-მაშველები – ჩვენი ბიჭები არიან აღბეჭდილნი. სწორედ ისინი, რომლებიც ოპერატიულად, პირველები აღმოჩნდნენ სტიქიის ეპიცენტრში, რომლებმაც დაზაფრულ ხალხში იმედის ნაპერწკალი გააჩინეს და მთელი საძიებო პროცესის მანძილზე თავგაწირვით ებრძოდნენ სტიქიას. მადლობა მას, ვინც ეს ფოტო დადო სოციალურ ქსელში.

სტიქიის ზონაში პირველები აღმოჩნდნენ ასევე ამბროლაურის პოლიციის სამმართველოს პოლიციელები, რომლებიც მალევე ქვეყნის სხვადასხვა დანაყოფებიდან შემოერთებულ კოლეგებთან ერთად ღირსეულად ასრულებდნენ სამსახურეობრივ მოვალეობას. სამწუხაროდ. საძიებო განყოფილების გამომძიებელის, 59 წლის მაიორის მირიან ჭელიძისა და თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის უფროსი ინსტრუქტორის თეიმურაზ ხარჩილავას გულმა ველარ გაუძლო ტრაგედიის შედეგების, დაზარალებულთა ახლობლების მწუხარებისაგან წაშლილი სახეების ხილვას, ყველას ტკივილი ერთად აკრიფეს, თან გაიყოლეს და ამ ტრაგიკული აღსასრულით კიდევ უფრო დაგვიმძიმეს ტრაგედიით აკიდებული ტვირთი რაჭველებს.

თავგანწირვისა და თანადგომის საოცარ მაგალითებს აჩვენებენ დღესაც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან კოორდინირებულად საქართველოს წითელი ჯვრის ამბროლაურის ფილიალის თანამშრომლები, მოხალისეები. ტრაგედიის მეორე დღესვე ადგილზე იყო სათაო ოფისის ხელმძღვანელობა და ორგანიზებულად წარმართავდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ფილიალების ჩართულობით წარმომადგენლების ვალდებულებათა აღსრულებას.აღსანიშნავია ისიც, რომ მათ რიგებში უცხოელებიც ვიხილეთ.

ონელი მედიკოსების გვერდით იდგნენ პირველი წუთებიდანვე ამბროლაურელი კოლეგები, ბიზნესისა თუ კერძო სექტორის, სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები ტრანსპორტით, ტექნიკით თუ პროდუქტებით, სურსათის ეროვნული სააგენტოს სამსახური,რიგითი ადამიანები...

ყველას ვერ ჩამოვთვლით და დარწმუნებული ვართ არც გაგვინაწყენდებიან, რათა მათ სამაშველო-სამძებრო თუ სხვა სამუშაოებში ჩართვა მოვალეობავალდებულებად მიიჩნიეს, გულის კარნახით მოქმედებდნენ. მადლობას ნამდვილად იმსახურებენ. მადლობა იმ ადამიანებსაც, რომლებიც არ გვიცნობდნენ მაგრამ ჩვენებურთა ქმედებებმა ათქმევინათ: ეს რა ხალხი ყოფილხართ რაჭველებიო.

მომთმენი, ბევრის ამტანი ვართ რაჭველები, მიწისძვრაც გვაქვს გამოცდილი და 2008 წლის ომიც, მაგრამ ის, რაც ბუნებამ 3 აგვისტოს თავს დაგვატეხა შოვის ტრაგედიის სახით გაუსაძლისია, სიტყვები უძლურია, მწუხარებას სახელიც არა აქვს.

ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს. მათი ტკივილი ჩვენი ტკივილია. მაგრამ ცხოვრება გრძელდება, გამძლეობას ვუსურვებთ ჭირისუფალთ.

რედაქცია შეგნებულად მოერიდა ფოტოებითა თუ ტექსტებით მკითხველის დამძიმებას, მაგრამ ამ ტრაგიკულ მოვლენას ვერ ავუვლიდით გვერდს.



საქართველოს მთავრობის განკარგულებით, შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარე წლის 7 აგვისტოს 00:00 საათიდან 8 აგვისტოს 00:00 საათამდე დაშვებულ იქნა სახელმწიფო დროშები.

სახელმწიფო დროშები დაეშვა აგრეთვე 8 აგვისტოს 00:00 საათიდან 9 აგვისტოს 00:00 საათამდე საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო ოკუპაციის მიზნით რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების ნიშნად.

შოვში, სტიქიური უბედურების ზონაში, მიმდინარე სამაშველო ღონისძიებების ფარგლებში, კოლეგებთან ერთად საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ამბროლაურის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი, პოლიციის მაიორი **მირიან ჭელიძე**.

იქ დატრიალებული ტრაგედით შექმნილ ვითარებას ვერ გაუძლო მისმა გულმა, შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა. მირიან ჭელიძე სამხედრო პატივით დაიკრძალა მშობლიურ სოფელში.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელი უკანასკნელ გზაზე გააცილეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა – შალვა ბედოიძემ, მინისტრის მოადგილეებმა – გიორგი ბუთხუზმა, იოსებ ჭელიძემ, ალექსანდრე დარახველიძემ, ასევე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელმა პირებმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კოლეგებმა, ახლობლებმა.

საპატიო ყარაულმა გარდაცვლილის ხსოვნას პატივი საგანგებო ზალპით მიაგო, დაკრძალვის შემდეგ კი მის ოჯახის წევრებს საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცა.

ინფორმაცია

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 46-ე მორიგი სხდომა. დეპუტატებმა, დამსწრე პირებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შოვის ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

სხდომამ მოისმინა და შეაფასა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ქონებისა და მართვის, ადმინისტრაციული სამსახურების უფროსების ანგარიშები 2023 წლის იანვრიდან აგვისტომდე გაწეული საქმიანობის შესახებ.

ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის №99, 2023 წლის №01 და №02 განკარგულებებში და დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შაორის ტბის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებზე (ს/კ 86.12.25.874; ს/კ 86.12.25.902; ს/კ 86.12.25.686; ს/კ 86.12.32.045) კოტეჯის ტიპის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.

სხდომაზე იმსჯელეს აგრეთვე. სხვადასხვა საკითხებზე.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ ყველა საკითხს.

მსჯელობენ აქტუალურ საკითხებზე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან გამართულ მორიგ თათბირზე სხვადასხვა მიმართულებით არსებულ მდგომარეობასა და იმ საჭიროებებზე იმსჯელეს, რომლებიც შესაბამისი სამსახურების ჩართულობას მოითხოვს. ძირითადი ყურადღება დაეთმო ქალაქის იერ-სახის მოწერიგებას, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების დასუფთავებას და ამ დროისთვის არსებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

საუბარი ასევე შეეხო ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობას. აღინიშნა, რომ მერის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი პროცესში და საჯარო რეესტრის თანამშრომლებთან ერთად უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტში არსებული ყველა მიწის ნაკვეთის აზომვას და რეგისტრაციას.

თათბირზე სამსახურების უფროსებმა წლის განვლილ პერიოდში შესრულებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაციები წარმოადგინეს და ისაუბრეს იმ ინიციატივებზე, რომლებიც კონკრეტული სფეროების მიხედვით უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს.

შესაბამისად, სამსახურების ხელმძღვანელებმა საკურატორო სფეროების მიხედვით კონკრეტული დავალებებიც მიიღეს.

მიმდინარეობს მიწის სისტემური რეგისტრაცია

მთელი საქართველოს მასშტაბით (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა) ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში ხორციელდება მიწის სისტემური რეგისტრაცია.

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ **დავით დევიძემ**, სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს **ალუდა თუთისანს**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს **ზვიად მხეიძეს** და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებს გააცნო მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდათ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობის შესახებ, სადაც მომდევნო თვეებში სრულად აიზომება მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულები.

შევახსენებთ მკითხველს,რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022-2024 წლებში გეგმა-გრაფიკის მიხედვით ზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არეგისტრირებს მიწის ნაკვეთებს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია უფასოა.

სამუშაოების მიმდინარეობის ტემპი დამაკმაყოფილებელია

მკითხველი ინფორმირებულია, მაგრამ კვლავ შევახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეყნის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტს ადმინისტრაციულ ერთეულებში პროექტების დაფინანსებისათვის გამოეყო 734000 ლარი. სოფლის კრებებზე სამუშაო ჯგუფთან შეხვედრებზე გაირკვა, რომ რამოდენიმე საპროექტო წინადადება საჭიროებდა თანადაფინანსებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოიყო კიდეც თანადაფინანსება 38000 ლარი და მთლიანმა თანხამ შეადგინა 772000 ლარი, რითაც დაფინანსდა 69 პროექტი. მათ შორის 25 სასმელი წყლების სისტემებისა და 13 სოფლების საუბნო გზების რეაბილიტაციაა. 1 ნაპირსამაგრის, 2 ხიდბოგირის, 12 გარე განათების, 6 სკვერის, 1 მოსაცდელის, 3 სანიაღვრე არხის მოწყობა. 5 სასაფლაოს შემოღობვა-კეთილმოწყობა და 1 სპორტული მოედნის საფარის შეცვლა.

69 პროექტიდან 46 პროექტი უკვე დასრულებულია. მათ შორისაა ბაჯში, თხმორში, გორისუბანში, ქვიშარში განათების, უყეშში, ჭყვიშში გაბიცინაშვილებისა და გურასაშვილების უბანში სანიაღვრე არხის. ხვანჭკარაში სკვერის მოწყობა, კვაცხუთში, მუხლში, წესში, ძირაგეულში, ლიხეთში სასმელი წყლის, ხოტევში ყრუაშვილების, პატარა ონში ჩხიკვაძეებისა და ჯებაშვილების, ქვედა შავრაში ჭელიძეებისა და გვენცაძეების უბნებში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია და სხვა. დანარჩენი პროექტების სამუშაოები მიმდინარეობს და უმრავლესობა დასრულების სტადიაშია.

გამოცდების შედეგები

2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები ცნობილია. ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდა ქ. ამბროლაურის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული **ლუკა ნატმელაძე**, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე განაგრძობს სწავლას.

70%-იანი გრანტი ამბროლაურის №1 და №2 საჯარო სკოლების ორმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა, 50%-იანი გრანტით კი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის 14 ახალგაზრდა დაფინანსდა.

განათლების ხელშეწყობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით ხორციელდება პროგრამები, რომლებიც მოსწავლეებისა და საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის სხვადასხვა სახის შეღავათებს ითვალისწინებს.

კერძოდ: ოქროსა და ვერცხლის მედალოსან და 100%-იანი გრანტის მფლობელ ახალგაზრდებს ფულადი ჯილდოები გადაეცემათ, საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს მუნიციპალიტეტი პორტაბელური კომპიუტერებით ასაჩუქრებს, სოციალურად დაუცველ პირველკურსელებს კი სწავლის საფასურს უნაზღაურებთ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს თითოეულ მათგანს სტუდენტობას და წარმატებებს უსურვებს მათ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე!

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ კუთხით მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი სამუშაოებია დაგეგმილი. მუნიციპალიტეტის უამრავ ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილებიდან გამორჩეულად პოპულარულია სოფელ კვაცხუთში არსებული ე.წ. **„ხიდიკრის კლდეკარი“**. აქ წლისა და დღის ნებისმიერ დროს ხალხმრავლობაა. საზოგადოების, ვიზიტორების გაზრდილი ინტერესებიდან გამომდინარე უკვე განხორციელდა ისტორიული კოშკებისა და მიმდებარე კლდეებზე განათების ახალი სისტემის მოწყობა.

განხორციელებული სამუშაოების ღირებულებამ 57 460 ლარი შეადგინა.

რაჭისადმი ინტერესი ყოველწლიურად მატულობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უფრო მეტიდამეტი ვიზიტორი სტუმრობს. შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გრძელდება ტურისტულად მიმზიდველი ზონების მიწესრიგება-კეთილმოწყობა. კერძოდ სოფელ ხოტევში **„ნასხვეტას წყაროსთან“** ყოველთვის ხალხმრავლობაა. ცივი წყალის მირთმევასთან ერთად აქ მათ სიგრილე და ლამაზი გარემოც ხიბლავთ. ამჟამად აქ სერიოზული სამუშაო პროცესები მიმდინარეობს, რომელიც ადგილზე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა – **პაპუნა მარგველიძემ**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან – **ზვიად მხეიძესთან** და მერის მოადგილესთან – **დავით გოგლიძესთან** ერთად მოინახულა.

პროექტის ფარგლებში „ნასხვრეტას წყაროს“ ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია. მოეწყობა მოსასვენებელი, მცირე საპარკინგე ადგილი, პანორამული გადასახედი და აუზი.

პროექტის ჯამური ღირებულება 261 377 ლარს შეადგენს.

სპორტი

გამონათქვამი „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ ძალას არ კარგავს. სასიამოვნოა, რომ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის უმრავლესობას კარგად აქვს გაცნობიერებული ამ სიტყვების მნიშვნელობა და ყოველწლიურად უფრო მეტიდამეტი კავდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიშით. საბედნიეროდ ფართო არჩევანის საშუალებებიც გააჩნიათ. სასპორტო სკოლა, საჭიდაო დარბაზი, საცურაო აუზი, საფეხბურთო კომპლექსი, მინი სტადიონები... ე.ი. მხარდამჭერი და ხელშემწყობიც ჰყავთ ადგილობრივი თვითმმართველობის სახით, რომელმაც მიმდინარე წლის ექვს თვეში სპორტის სფეროს განვითარების კუთხით უკვე დახარჯა 479.6 ლარი.

სასპორტო სკოლაში სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებულია 210-ზე მეტი ბავშვი. საჭიდაო კლუბში „ფალავანი“ 85, საცურაო აუზის ბენეფიციარია 205,საფეხბურთო კლუბში „რაჭა“ დინამოს მეთოდოლოგიით სწავლობს 120 ბავშვი და სხვა.

შესაბამისად გასვლითი და ადგილობრივი შეხვედრა-ღონისძიებებიდან თუ კალენდარული მატჩებიდან მოპოვებული სერიოზული შედეგებითაც ახარებენ გულშემატკივრებს. პარალელურად ხშირად ხვდებიან წარმატებულ, ცნობილ სპორტსმენებს, რაც კიდევ უფრო უმაღლებთ მათ მოტივაციას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მათი სახით ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობა ემატება საზოგადოებას.

მაგალითად თვის დასაწყისში ქ. ამბროლაურის სპორტ სკოლას ესტუმრა საქართველოს კალათბურთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი – **ზაზა ფაჩულია**.

სპორტული კომპლექსი მან მაჟორიტარ დეპუტატ **გოჩა ენუქიძესთან**, სახელმწიფო რწმუნებულ **პაპუნა მარგველიძესთან** და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერ **ზვიად მხეიძესთან** ერთად დაათვალიერა. შეხვდა ახალგაზრდა კალათბურთელებს, უპასუხა, მათ შეკითხვებს, საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და წარმატებები უსურვათ

აღსანისნავია, რომ გასულ წელს სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც მოხდა სპორტული დარბაზის იატაკის რეაბილიტაცია, ახალი საშხაპეების მოწყობა, ბეტონის კედლისა და მიმდებარე გზის საფარის აღდგენა.

ყურადღება: ქ. ამბროლაურში ფიტნეს ცენტრი ამოქმედდა

ამბროლაურის საცურაო აუზის მეორე სართულზე ფიტნესის და ბოდიბილდინგის ცენტრი გაიხსნა, რომელიც თანამედროვე სატრენაჟორო დანადგარებით არის აღჭურვილი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა – **ზვიად მხეიძემ** ახალი სივრცე პირველ მოადგილესთან – **დავით გოგლიძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარესთან – **ასლან საგანელიძესთან** ერთად მოინახულა.

დარბაზი მსურველებს მოემსახურება ყოველდღე, 11:00-დან 22:00 საათამდე. მომხმარებლებს საშუალება ექნებათ მომსახურებით ისარგებლონ როგორც ერთჯერადად, ასევე აბონიმენტის საშუალებით.

გაცვლითი შემოქმედება

ამბროლაურელ და ონელ ხელოვანთა შორის გაცვლით შემოქმედებით ღონისძიებებს ტრადიციული ხასიათი აქვს და არც დამთვარიებელ-შემფასებელთა სიმცირეს უჩივიან. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეც ბევრ საინტერესო შეხვედრას პირდებოდა საზოგადოებას ამ კუთხით, მაგრამ შოვის ტრაგედიამ სერიოზული კორექტივები შეიტანა ორი მეზობელი რაიონის მოსახლეობის, სამხატვრო სკოლებისა თუ სხვა შემოქმედთა სულიერ განწყობაში. არადა დასაწყისი კარგი იყო.

დედაშვილმა **ქეთევან გუგეშაშვილმა** და **დავით ბერიშვილმა** განსხვავებული სტილით მასალითა და ფერებით აღქმულ სამყაროში ამოგზაურეს ამბროლაურელი დამთვალიერებელი და ათქმევინეს: სანთლის ნაღვენთითა და ბრინჯით შესრულებული ფერწერული ტილოებით ნიჭიერმა დედაშვილმა ზღაპრულ სამყაროში გვამოგზაურესო.

ქცევა

თავისუფალი სტილით 20-წლამდელ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ამბროლაურელი გიორგი გოგრიჭიანი 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

„ჩემს გამარჯვებას შოვის ტრაგედიის შედეგად დაღუპულ ადამიანებს და ქართველ ხალხს, განსაკუთრებით რაჭველებს ვუძღვნი“ განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე პრიზიორმა.

ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ შემდგომში გამართულ შეჯიბრებებში.

საჭადრაკო ფესტივალი „რაჭა“

ქალაქი ამბროლაური ერთი კვირა მასპინძლობდა საჭადრაკო ფესტივალს „რაჭა 2023“, რომელიც უკვე მესამე წელია იმართება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაციის და დეპუტატის ბიუროს ორგანიზებით.ფესტივალის გამარჯვებულის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოდა საქართველოს 9 რეგიონის 20 მუნიციპალიტეტიდან 159 მოჭადრაკე.მათ შორის 2 უცხო ქვეყნის მოქალაქე.

ამჯერადაც ტურნირის მსაჯები საერთაშორისო არბიტრები, ალექსანდრე არსანიძე და ინგა კიკვიძე ბრძანდებოდნენ.

ფესტივალის გახსნას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის – მერი **ზვიად მხეიძე**, საკრებულოს თავმჯდომარესთან – **ასლან საგანელიძესთან** და დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელ **გიორგი მახათაძესთან** ერთად დაესწრო.

საინტერესო ორთაბრძოლები შესთავაზეს გულშემატკივრებს 8,10,12,14,16 წლის ასაკის გოგონებმა და ვაჟებმა, ასევე ღია და ბლიც ტურნირის მონაწილეებმა. ამჯერადაც გაგვახარეს ჩვენებურებმა.14 წლის გოგონებს შორის მეორე და მესამე ადგილზე მარიამ გობეჯიშვილი და მარიამ კერესელიძე გავიდნენ. 16 წლიანებში გიორგი კობახიძემ იმარჯვა, ღიაში კი დავით გოცირიძემ და ლექსო მეტრეველმა (მათზე მკითხველს ვრცელ ინფორმაციას უახლოეს ნომერში შევთავაზებთ). ვულოცავთ მათ და მათთან ერთად მწრთნელ ზურაბ კობახიძეს, რომელიც 6 საუკეთესო მწვრთნელს შორის მეორე აღმოჩნდა.

პირველ აგვისტოს საზეიმოდ დაწყებული საჭადრაკო ფესტივალის მონაწილეთათვის ბევრი საინტერესო ღონისძიება იყო დაგეგმილი, მაგრამ შოვში დატრიალებული ტრაგედიის გამო ყველაფერი გაუქმდა, რასაც ყველა მონაწილე შეგნებულად შეხვდა და გაითავისა დაზარალებულთა მძიმე ხვედრი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია უთანაგრძნობს მწუხარებაში თეა დვალს შვილის

ანანო გოგოლაძეს

გარდაცვალების გამო

გაზეთის „ამბროლაურის მოამბე“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან რომ გარდაიცვალა სტამბის ყოფილი დირექტორი, პროფესიონალი პოლიგრაფისტი

ჯონი დალაქიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ყილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.